MES 0 20 0000679164

11/08/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 29 ივლისს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს(შემდგომში- საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარსხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე - პრეზიდენტი, მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" და სამაგისტრო პროგრამის " გამოყენებითი ბიომეცნიერებები" ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

2019 წლის მოწვევის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი:
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი.

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს მოწვეულიწევრები:

თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამავე დეპარტამენტის პროფესორი;
ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი, მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,მედიცინის სკოლის ხელმძღანელი,შპს "მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი "ინოვას" (innova medical center)" ზოგადი ქირურგი;
მაია გოგაშვილი -შპს "საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
ნინო მეგრელიშვილი - შპს "საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი,მედიცინის დოქტორი;
ლელა მასხულია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის ექიმი;
ეკატერინ ეადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
ირმა ბურდულაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის ლიცენზირებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამნეტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
ნინო ნანავა - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სსიპ- განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
**ეკატერინე აზარაშვილი - წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე (კანცლერი*).*

*2. **შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი**:*
***თამარ გარდაფხაძე** - რექტორი;*
***ნათია გოგოლაური** - ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსი;*
***ქეთევან კვიცარიძე** - ადამიანურირესურსებისმართვისსამსახურისუფროსი.*

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისექსპერტები (შემდგომში- ექსპე რტები):

ელენე ჯიბლაძე;
მაია შიშნიაშვილი;
ვახტანგ თებიძე;
გიორგი მახარობლიშვილი;
დიანა მჭედლიშვილი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 17:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე, აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს მოწვეული წევრების ¾. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოსთავმჯდომარემსაბჭოსწევრებსგააცნოსხდომის დღის წესრიგი:

1. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა;
2. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ -უნივერსიტეტის ავტ ორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა და საბჭოს მოწვეულმა წევრმა თამარ ვალიშვილმა, რადგან ისინი იყვნენ მოწვეული ლექტორები ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ასევე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმსა და გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მოკლედ აღწერა განსახილველი საკითხის შინაარსი. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 ოქტომბრის №38 გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს მიენიჭა 6 წლიანი ავტორიზაცია და სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 3 000 სტუდენტით. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამავე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, 2 წლის ვადაში დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ, რა დროსაც უნდა მომხდარიყო ინსტიტუციის მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხის გადამოწმება. უნივერსიტეტმა აღნიშნული გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრა სააპელაციო საბჭოში და სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 2 აპრილის №2 გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, რომელსაც თავიდან უნდა ემსჯელა უნივერსიტეტისთვის მხოლოდ სტუდენტებთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი პრობლემური იყო მხოლოდ მედიცინის პროგრამასთან მიმართებით. მისივე განმარტებით, ის არ იყო სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ერთად განიხილა აღნიშნული საკითხი და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად უნივერსიტეტის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დათვალეს და დაიანგარიშეს ყველა ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესორ მასწავლებლების რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტებთან მიმართებით. მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ მათი მსჯელობის ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ ხარისხიანი განათლების მიღებას არ შექმნოდა საფრთხე. მისი

განმარტებით მედიცინის მიმართულებით პროგრამის განხორციელება იყო საკმაოდ რთული, ბევრი სამუშაო იყო ჩასატარებელი და იმ ეტაპისთვის, ინსტიტუციაში სამედიცინო მიმართულებაზე არ იყო რეკომენდირებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ზრდა.

სტუდენტმა ექსპერტმა, ვახტანგ თებიძემ აღნიშნა, რომ ძირითადი პრობლემა იყო პროფესორ-მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა, რომელიც არ იქნებოდა საკმარისი თუ გაიზრდებოდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მედიცინის პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს საკითხები ასევე დასკვნაშიც იყო აღნიშნული და 2019 წელს საბჭოს მიმდინარეობის დროს ეს ყველაფერი იქნებოდა გამოკითხული. მან სთხოვა წინა მოწვევის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრს, რიმა ბერიაშვილს დაეფიქსირებინა მოსაზრება განხილულ საკითხთან მიმართებით.

რიმა ბერიაშვილმა განაცხადა, რომ მას კარგად ახსოვდა ავტორიზაციის ის საბჭო, რომლის ფარგლებშიც ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხის განხილვა მოხდა. მან ასევე ისიც აღნიშნა, რომ ახსოვდა უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა ინსტიტუციის თხოვნას სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის თაობაზე იმ პირობით, რომ ისინი არ გაზრდიდნენ სტუდენტების რაოდენობას მედიცინის მიმართულებით და ყოველწლიურად მხოლოდ 300 სტუდენტს მიიღებდნენ აღნიშნულ პროგრამაზე, მაგრამ რიმა ბერიაშვილმა აღნიშნა, რომ მან არ იცოდა არსებობდა თუ არა ისეთი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოხდებოდა ინსტიტუციის მიერ მედიცინის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის კონტროლი. მან ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის შემდეგ თითქმის ერთი წელი იყო გასული და მას არ ჰქონდა მონაცემები, თუ როგორ მდგომარეობაში იყო უნივერსიტეტი, თუმცა ჰქონდა ინფორმაცია, რომ საკმაოდ კარგად მუშაობდა აღნიშნული უნივერსიტეტის კლინიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადამიანური თუ მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ფასდებოდა მთლიანად უნივერსიტეტის მასშტაბით და არა მარტო რომელიმე კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ისინი თავიდანვე იზიარებდნენ ექსპერტებისა და საბჭოს პოზიციას, რომ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა გაზრდილიყო მედიცინის პროგრამების ხარჯზე. მან აღნიშნა, რომ თუ საბჭო დაეთანხმებოდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 5 000-მდე, სტუდენტთა რაოდენობა მედიცინის პროგრამაზე არ გადააჭარბებდა არსებულ რაოდენობას. მისივე განმარტებით, პრობლემური საკითხი იყო კონტროლის მექანიზმის არ არსებობა, იმისათვის, რომ გადამოწმებულიყო უნივერსიტეტის მიერ მედიცინის პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის არ გაზრდის ფაქტი, მაგრამ მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ამის კონტროლის ერთგვარი მექანიზმი შესაძლებელია ყოფილიყო სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის დაცვასაც ინსტიტუცია აცხადებდა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში.

დავით კერესელიძემ ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ვითარდებოდა სხვა მიმართულებებითაც, კერძოდ, ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ უნივერსიტეტმა დაიმატა სტომატოლოგიის პროგრამა ავტორიზაციის რეჟიმში და უნივერსიტეტს ცენტრში ორი ახალი პროგრამა ჰქონდა შეტანილი აკრედიტაციისთვის, იქმნებოდა ორი ახალი სკოლა/ფაკულტეტი, რაც ნიშნავდა იმას, რომ უნივერსიტეტს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა

სჭირდებოდა სტუდენტების მისაღებად სწორედ ამ პროგრამებზე, ამ მიმართულებების განვითარების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენელმა გააზიარა საკუთარი კომპიუტერის ეკრანი და საბჭოს წევრებს უჩვენა რიცხობრივი მონაცემები უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შესახებ. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აპირებდა სამედიცინო მიმართულებაზე ყოველ წელს მიეღო 300 სტუდენტი ნაცვლად 650 - ისა, როგორც ეს ხდებოდა მედიცინის პროგრამის განხორციელების დაწყების პირველ წლებში. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ თავდაპირველად დაწესებულება მედიცინის პროგრამაზე იღებდა 650 სტუდენტს, რადგან პროგრამაზე არ სწავლობდნენ მაღალი კურსის სტუდენტები. ახლა, რადგან პროგრამაზე სწავლობენ მაღალი კურსის სტუდენტები, დაწესებულებამ შეამცირა სტუდენტების მისაღები რაოდენობა მედიცინის პროგრამაზე. მისივე განმარტებით, სტუდენტების საერთო რაოდენობას მედიცინის პროგრამაზე რაღაც ეტაპზე შეიძლებოდა მცირედით გადაეჭარბებინა 2000 სტუდენტისთვის, მაგრამ როგორც კი სტუდენტების ნაწილი დაასრულებდა სწავლას მათი რიცხობრივი მაჩვენებელი ისევ იქნებოდა კონტიგენტის დაგეგმვის დოკუმენტის შესაბამისი.

დაწესებულების წარმომადგენლის, დავით კერესელიძის განმარტებით, მათ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საბჭოს გადაწყვეტილება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ. გასაჩივრების მიზეზი იყო ის, რომ მათთვის გაუგებარი იყო თუ რატომ არ მისცა ავტორიზაციის საბჭომ ინსტიტუციას სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის უფლება 3000-დან 5000-მდე იქიდან გამომდინარე, რომ არავინ დავობდა იმაზე, რომ უნივერსიტეტს შეეძლო მომსახურებოდა 5000 სტუდენტს, იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი თანახმა იყო მომდევნო 7 წლის განმავლობაში მედიცინის პროგრამაზე ყოლოდა 1950 სტუდენტი და პროგრამის განხორციელება უზრუნველეყო შესაბამისი რესურსებით. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ მეტი სტუდენტების რაოდენობისათვის საჭირო რესურსის არსებობაზე დაწესებულებას პრეტენზია არც ჰქონია.

დავით კერესელიძემ ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს საკუთრებაში ჰქონდა ორი ჰოსპიტალი და დამატებით შეიძინეს მესამე ჰოსპიტალიც. მისივე განმარტებით ეს ნიშნავდა იმას, რომ ინსტიტუცია ვითარდებოდა. მან საბჭოს წევრებს ასევე აჩვენა, რომ 2019 წელს ინსტიტუციის მიერ ავტორიზაციის მიღების პერიოდისათვის პერსონალის რაოდენობა იყო 123, 2020 წელს - 191, ხოლო მიმდინარე კონკურსების დასრულების შემდეგ იქნებოდა 252. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ცხრილი სადაც ჩანდა, რომ მედიცინის პროგრამაზე ქართველი პროფესორების პროცენტული წილი იყო 58%. აკადემიური პერსონალის 32% იყო დიდი ბრიტანეთიდან, ხოლო 10 % - გერმანიიდან. რიცხობრივად ეს მონაცემები კი ასეთი იყო: დიდი ბრიტანეთიდან - 36 პროფესორი და 12 ასოცირებული პროფესორი. მათ შორის 25 პროფესორი და 11 ასოცირებული პროფესორი მუშაობდა მედიცინის მიმართულებით, რაც ამავე დროს გამორიცხავდა სტუდენტებთან ენის ბარიერის ქონას. დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ მედიცინის პროგრამას აკრედიტაცია 6 თვით ადრე ჰქონდა გავლილი ვიდრე უნივერსიტეტს ექნებოდა ავტორიზაციის ვიზიტი, მისი განმარტებით ამ მიმართულებით ყველაფერი რიგზე იყო და პროგრამა თავისი შინაარსით იყო გამართული.

დავით კერესელიძემ განმარტა, რომ მან საკმარისი მტკიცებულებები წარადგინა იმისთვის, თუ რატომ გაასაჩივრა აპელაციის წესით საბჭოს გადაწყვეტილება და საბჭოს წევრებს შესთავაზა - საბჭოს გადაწყვეტილებას თან დართოდა უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის სქემა და ერთი წლის შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტი გაივლიდა მონიტორინგს, გადამოწმებულიყო ხომ არ გადაუხვია უნივერსიტეტმა ამ სქემას და ხომ არ გაზარდა სტუდენტთა რაოდენობა სამედიცინო პროგრამაზე. მან ასევე დაამატა, რომ უნივერსიტეტს გარდა მედიცინის პროგრამისა ჰქონდა 15 სხვა პროგრამა. ამჟამინდელი სტუდენტთა საერთო რაოდენობა იყო 2860, რაც ძალიან ახლოს იყო ზღვრულ რაოდენობასთან და საბჭოს უარი

ინსტიტუციისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 5000-მდე გაზრდაზე ავტომატურად ნიშნავდა უნივერსიტეტის განვითარების გაჩერებას. საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა იკითხა, იქედან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტის პროფესორების 42 % იყო უცხოელი სად იმყოფებოდნენ ისინი და როგორ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ რამდენ პროფესორს გულისხმობდა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ეკრანზე გაზიარებულ მაჩვენებლებში აკადემიური პერსონალის 42 % და იქნებოდნენ თუ არა ეს ადამიანები აქტიურად ჩართულნი სასწავლო პროცესში მიმდინარე წლის სექტემბრიდან.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ პანდემიის პირობებში ეს ადამიანები იყვნენ თავიანთ ქვეყანაში, თუმცა, რეგულარული სწავლების პირობებში მათი ნაწილი სისტემატურად ჩამოდიოდა საქართველოში, ნაწილი კი ატარებდა ონლაინ ლექციებს. მისივე განმარტებით პროფესორ-მასწავლებლებს კონტრაქტით ქონდათ განსაზღვრული, რომ ისინი წელიწადში ორჯერ უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში და ადგილზე ჩაეტარებინათ ლექციები. ზოგიერთი მათგანი კი საქართველოში ცხოვრობდა. ხოლო რაც შეეხებოდა რიცხობრივ მონაცემებს 42 % დან ლექტორების რაოდენობას შეადგენდა 15 გერმანელი და 42 ბრიტანელი ლექტორი. დღეს დღეობით კი საქართველოში ადგილზე იმყოფებოდა 6 ადამიანი. მისივე თქმით მას იმედი ჰქონდა რომ სექტემბრიდან უფრო მეტი პროფესორი იქნებოდა საქართველოში.

საბჭოს წევრმა ნუგზარ სხირტლაძემ იკითხა უცხოელი პროფესორები ინტენსიურად კითხულობდნენ თუ არა ლექციებს უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასისტენტები და ასისტენტ- პროფესორები იყვნენ ქართველები, რომლებიც მუშაობდნენ გერმანელ ან ბრიტანელ პროფესორებთან ერთად. მისი განმარტებით ეს მათ სჭირდებოდათ არა მარტო სწავლების, არამედ კლინიკის განვითარებისთვისაც და დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა თუ ვინ ხვდებოდა სტუდენტს, როდესაც ის შედიოდა კლინიკაში. ეს უცხოელი ექსპერტები იყვნენ ისეთი ქვეყნებიდან, რომლებშიც მედიცინის დონე იყო მაღალ საფეხურზე. დავით კერესელიძემ ასევე აღნიშნა, რომ მედიცინის პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის ასისტენტების უმრავლესობა იყვნენ უნივერსიტეტის დოქტორანტები. მან ასევე აღნიშნა, რომ სამართალის პროგრამაზეც იგივე სიტუაცია იყო, რომ ყველა კურსდამთავრებული გახდა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ეს იყო უნივერსიტეტის პოლიტიკა, რომ უნივერსიტეტს უნდა გაეზარდა თავისივე პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ ექსპერტთა დასკვნიდან ამოიკითხა რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზასთან და პროფესორ მასწავლებლების სტუდენტებთან თანაფარდობის გათვალისწინებით დაწესებულება ფრთხილად მოპყრობოდა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის პროცესს განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ამჟამად ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობდა მედიცინის მიმართულებით და მომდევნო წლებში ჩანდა, რომ სტუდენტების რაოდენობა იქნებოდა არა თუ 1800, არამედ 2000-საც გადააჭარბებდა, ამდენად მისი კითხვა იყო, რომ მიუხედავად პროფესორ-მასწავლებლების გაზრდილი რაოდენობისა, შეძლებდა თუ არა უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას როდესაც სტუდენტების რაოდენობა გასცდებოდა 2000-ს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ ის როგორც მხარე იქნებოდა სუბიექტური და იტყოდა რომ მათ ჰქონდათ ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა მედიცინის მიმართულებით და ამავე უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამა ვერ

ჩაითვლებოდა რაიმე ნაკლის მქონედ. მან ასევე თქვა, რომ ამას მოწმობდა სამივე საფეხურის პროგრამების წარმატებული რეაკრედიტაციები, რომლის ფარგლებშიც უცხოელმა ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამები და დაწერეს დადებითი შეფასებები. მისივე განმარტებით, აღნშნული რიცხვების პირობებში სათუო რომ ყოფილიყო ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიმე ექსპერტი ამასთან დაკავშირებით აუცილებლად დაწერდა აკრედიტაციის დასკვნაში. ასევე, სტუდენტთა რაოდენობის აღნიშნული გადაჭარბება გამოწვეული იყო მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან ინსტიტუცია მედიცინის პროგრამაზე იღებდა 650 სტუდენტს, ხოლო შემდგომ წლებში - 300 სტუდენტს. რადგან სწავლება იქნებოდა 6 წლიანი და თითოეულ კურსზე იქნებოდა 300 სტუდენტი ჯამში სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა 1800 სტუდენტს. მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში ეს რიცხვი ასცდებოდა 2000-ს, იმიტომ რომ საწყის ეტაპზე, როცა უნივერსიტეტს არ ჰქონდა მაღალი კურსები მათ თითოეულ წელს მიიღეს 650 სტუდენტი და ამავე დროს, უნივერსიტეტს ჰქონდათ სტატუსშეჩერებული სტუდენტების დაბალი მაჩვენებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ რამდენი იყო მაჩვენებელი იმისა, რომ სტუდენტები ან გადადიოდნენ სხვა უნივერსიტეტში ან აჩერებდნენ სწავლას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სხვა პროგრამებიდან შეიძლებოდა ყოფილიყო მაქსიმუმ 2 – 5 სტუდენტი, ხოლო მედიცინის ფაკულტეტიდან იქნებოდა 30-ზე მეტი, რადგან ისინი ვერ ძლევდნენ პროგრამას და გადადიოდნენ სხვა უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მასალებში იყო სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის სქემა/მეთოდოლოგია და ბადე, ექსპერტებს მაინც ჰქონდათ მოსაზრება, რომ ბუნდოვანი იყო კავშირი რამდენი პერსონალი ემსახურებოდა 1508 სტუდენტს მედიცინის მიმართულებით. მან დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა ამ ნაწილთან მიმართებით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ ავტორიზაციის წინა საბჭოზე ეს დეტალი განიხილეს, იმსჯელეს ექსპერტებთან ერთად და აღმოაჩინეს, რომ იყო ტექნიკური შეუსაბამობა. კერძოდ, ექსპერტებმა პროფესორების დატვირთვა შეადარეს ცხრილში არსებულ მონაცემებს ისე, რომ არ ჰქონდათ გათვალისწინებული დოქტორანტურის სალექციო საათები. კერძოდ, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების მიერ წაკითხული სამუშაო ჯგუფის საათები ჰქონდათ დათვლილი, როგორც პროფესორის მიერ ჩატარებული საათები და საერთო დატვირთვა გამოდიოდა იმაზე მეტი ვიდრე ეს რეალურად იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ზარანდიამ დასვა შემდგომი შეკითხვა, თუ როგორ ხორციელდებოდა ცვლილებების გაანალიზება და როგორი იყო კავშირი ამ ცვლილებებს, დაგეგმვის მეთოდოლოგიასა და სამუშაო ბაზრის კვლევას შორის. მისივე განმარტებით, ეს საკითხი ექსპერტებსაც ჰქონდათ დაფიქსირებული თავიანთ დასკვნაში. თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ მან იცოდა, რომ მედიცინის პროგრამაზე ძირითადად უცხოელები სწავლობდნენ და რთული იქნებოდა სამუშაო ბაზრის სრული კვლევა ჰქონოდათ, მაგრამ მან დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა - იყო თუ არა უნივერსიტეტში რაიმე დოკუმენტი, სტრატეგია, მეთოდოლოგია, რომლითაც შეიძლებოდა ამ მონაცემების დაანგარიშება, ნახვა, რადგან აღნიშნული იყო ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე აზარაშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პერიოდში ჩატარებული იყო ბევრი სხვადასხვა ტიპის კვლევები, მათ შორის ჩატარებული იყო დამსაქმებელთა გამოკითხვაც და სწორედ ეს გამოკითხვები ჰქონდა საფუძვლებად იმ პროგრამებს, რომელ პროგრამებსაც უნივერსიტეტი

ახორციელებდა და რომელი პროგრამებიც ახლა ჰქონდათ აკრედიტაციისთვის ცენტრში წარმოდგენილი ინსტიტუციას. მისივე განმარტებით, ეს დოკუმენტები მოიპოვებოდა ავტორიზაციისთვის ცენტრში წარდგენილ განაცხადშიც. მისივე თქმით, მათ დაქირავებული ჰყავდათ ინტერვიუერი, რომელმაც ჩაატარა სიღრმისეული ინტერვიუები, მათ შორის სამედიცინო უნივერსიტეტთან. ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა საკუთარი ჰოსპიტალი და შესაბამისად ისინი თავად იყვნენ დამსაქმებლები და რომ უნივერსიტეტი უწყობდა ხელს თავისი კურსდამთავრებულების დასაქმებას. მან ასევე აღნიშნა, რომ როგორც სხვა ინსტიტუციებისათვის, ასევე მათთვის პრობლემური იყო არა მხოლოდ საერთაშორისო სტუდენტების დასაქმება, არამედ მათი როტაცია სხვადასხვა კლინიკებში, რადგან ზოგიერთ კლინიკას არ ჰქონდა სურვილი მიეღო უცხოელი სტუდენტი. მან ასევე აღნიშნა, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იყო ახალგაზრდა უნივერსიტეტი და მათ არ ჰყავდათ ბევრი კურსდამთავრებული, თუმცა ახლა დადგებოდა ის მომენტი, როცა კურსდამთავრებულთა რაოდენობა გაიზრდებოდა, რადგან მომდევნო წლებში, ეტაპობრივად ბევრი სტუდენტი დაამთავრებდა სწავლას.

წინა მოწვევის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რიმა ბერიშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ მედიცინის მიმართულებით დასაქმება არ იყო მარტივი. უნივერსიტეტს ამ ეტაპზე შეიძლებოდა ჰქონოდა კურსდამთავრებულების კლინიკურ რეზიდენტურაში ჩაბარების მაჩვენებელი, რადგან ექიმის ლიცენზიის მოპოვება და პრაქტიკის დაწყება არ ხდებოდა ერთსაფეხურიანი მედიცინის პროგრამის დამთავრებისთანავე. ამისათვის კურსდამთავრებულებს ჭირდებოდათ გაევლოთ ერთიანი კვალიფიკაციის გამოცდა და კლინიკური რეზიდენტურა, რისი წარმატებით შესრულება კიდევ უფრო რთულდებოდა უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში.

ეკატერინე აზარაშვილმა დაამატა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ უნივერსიტეტს ჰქონდა მონიტორინგის ვიზიტი ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროდან, რომლის საფუძველზეც ნიუ ვიჟენის მედიცინის სკოლა და მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა აღიარებულ იქნა ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ნიუ ვიჟენის კურსდამთავრებულებს ექნებოდათ შესაძლებლობა გაევლოთ ისრაელის სალიცენზიო გამოცდები. ეს მისივე განმარტებით იყო არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ, ქვეყნის მიღწევა, რადგან რეგიონში მხოლოდ 5 უნივერსიტეტს ჰქონდა აღნიშნული ლიცენზია და ეს იყო დიდი წარმატება.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან ამონარიდი სადაც ექსპერტები წერდნენ, რომ როდესაც ექსპერტები მივიდნენ პარტნიორ კლინიკებში იქ არ დახვდათ პერსონალი, რომელიც საუბრობდა ინგლისურად, ასევე პაციენტების სამედიცინო ისტორიები იყო ქართულ ენაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ კლინიკაში ვიზიტის დროს იქნებოდა ერთი ადამიანი ვინც უთარგმნიდა სტუდენტებს, მაგრამ ექსპერტებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ ქართულის მინიმალური ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კლინიკური სწავლება ჩატარებულიყო და მათივე მოსაზრებით სტუდენტები ვერ შეძლებენ პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას, რადგან აღნიშნულ მიმართულებაზე სტუდენტების უმრავლესობა იყო უცხოელი და ისინი საუბრობდნენ ინგლისურად. საბჭოს თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით განმარტება სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ხომ არ შეუშლიდა აღნიშნული გარემოება ხელს სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებაში.

ეკატერინე აზარაშვილმა უპასუხა, რომ დასკვნის ამ ნაწილს არც შარშან და არც ახლა ეთანხმებოდნენ, რადგან ექპერტები როდესაც სტუმრობდნენ კლინიკას, მათ დასკვნა გააკეთეს მხოლოდ აღნიშნული მოკლე ვიზიტის დროს და ის განაზოგადეს სრულიად უნივერსიტეტზე.

ასევე, მან აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, სამედიცინო ისტორიები იყო ქართულ ენაზე, თუმცა ის კურატორები, რომლებსაც ჩაბარებული ჰყავდათ სტუდენტების ჯგუფები არაჩვეულებრივად ფლობდნენ ინგლისურს და სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა მისი კურატორისგან მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია პაციენტების ჯანმრთელობასთან მიმართებით. ამიტომ მისი განმარტებით, არ იყო სტუდენტებისათვის არც თარგმნის და არც ინფორმაციის მიწოდების პრობლემა. ეკატერინე აზარაშვილმა ასევე დაამატა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავდა პროფესორ-მასწავლებლების და ზოგადად უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის განვითარებაზე და იმ პერსონალს, რომელთაც უცხოელ სტუდენტებთან ჰქონდათ შეხება სთავაზობდა ინგლისური ენის შესწავლისა და დახვეწის კურსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაზუსტების მიზნით ისევ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს საბჭოსთვის განემარტა თუ როგორ ახერხებდა უნივერსიტეტი 1500-ზე მეტი სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაციის უცხო ენაზე მიწოდებას და მომდევნო წლებში მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, როგორ მოახერხებდა უნივერსიტეტი სწავლების ხარისხის შენარჩუნებას.

ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ როტაციის დროს 6-8 სტუდენტს ჰყავდა 1 როტაციის ხელმძღვანელი, რომელმაც აუცილებლად იცოდა ინგლისური და რომ უნივერსიტეტის პოლიტიკა ლექტორების შერჩევასთან მიმართებით ითვალისწინებდა სწორედ ინგლისური ენის ცოდნის დადასტურებას. მისი განმარტებით, ინგლისურ პროგრამაზე ვერ ასწავლიდა ლექტორი, რომელმაც არ იცოდა ინგლისური. შესაბამისად, ეს იყო გარანტი რომ სტუდენტები სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ინფორმაციას იღებდნენ უშუალოდ მათი კურატორებისგნ. ეკატერინე აზარაშვილის განცხადებით, ექსპერტებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და მათ საკუთარი თვალით ნახეს, რომ უნივერსიტეტს ჰყავდა საკმაოდ კრიტიკული სტუდენტები და ამდენი წლის განმავლობაში მათ პრობლემა რომ ჰქონოდათ ქართულიდან უცხო ენაზე თარგმნის, ისინი ამას აუცილებლად გააპროტესტებდნენ.

თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ის არ საუბრობდა პროფესორ მასწავლებლებზე, ის საუბრობდა უშუალოდ კლინიკაში არსებულ სიტუაციაზე, როცა მედპერსონალი არ საუბრობდა ინგლისურად და პაციენტის ისტორიები იყო ქართულ ენაზე.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ აღნიშნა, რომ დისკუსიის საგანი არ უნდა ყოფილიყო სამედიცინო ისტორიები, რადგან ისინი ვერ იქნებოდა ინგლისურ ენაზე, ასევე არ იყო აუცილებელი მედ-პერსონალს, რომელიც კლინიკაში მუშაობდა, სცოდნოდა ინგლისური ენა. მისივე განმარტებით, აუცილებელი იყო სუპერვაიზერს ჰქონოდა საკმარისი ენობრივი კომპეტენცია, რომ შესაბამისი სუპერვიზია გაეწია მისთვის მიმაგრებულ საერთაშორისო სტუდენტებზე.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა იკითხა თუ რამდენი სტუდენტი იყო მედიცინის პროგრამაზე.

დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ ისინი სტუდენტებს იღებდნენ 65 სხვადასხვა ქვეყნიდან და მათ შორის ისეთი ქვეყნებიდან, რომლისგან სტუდენტების მიღებაც მათ, როგორც უნივერსიტეტს და განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტებს პროფესიულად ზრდიან. ასეთი სტუდენტები მისი განმარტებით იყვნენ ბრიტანეთიდან, რომლებიც უმცირეს დეტალებზეც კი აკეთებდნენ რეაგირებას. მან ამის საილუსტრაციოდ მოიყვანა მაგალითი, როდესაც გამოცდების ცენტრმა ერთ-ერთი საგნის შუალედური წერა და მეორე საგნის ქვიზი დაამთხვია ერთმანეთს და ბრიტანელმა სტუდენტებმა ეს გააპროტესტეს და უნივერსიტეტს მოსთხოვეს ეს პროცესი უფრო გაეკონტროლებინათ. რაც შეეხებოდა ქართველი სტუდენტების რაოდენობას, ეს რიცხვი

არ აღემატებოდა 150-ს. ყოველწლიურად ისინი იღებდნენ 25 ქართველ სტუდენტს და დანარჩენ კვოტას ავსებდნენ უცხოელი სტუდენტებით. სწავლება კი მიმდინარეობა სრულად ინგლისურად.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ იკითხა თუ რა პროცენტული თანაფარდობა არსებობდა აფილირებულსა და არაფილირებულ პროფესორებს შორის ინსტიტუციაში, რამდენი აკადემიური პროფესორი ჰყავდათ დაფინანსებული კვლევის მიზნებისთვის და რა იყო მათი როლი უნივერსიტეტში.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ პროფესორები სრულად იყვნენ უნივერსიტეტში აფილირებული, ხოლო რაც შეეხებოდა ასოცირებულ პროფესორებს ისინი შეიძლებოდა სხვა უნივერსიტეტშიც ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. უნივერსიტეტის მიდგომით, პროფესორი იყო ძირითადი ძრავი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ესა თუ ის პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მთავარი მისია იყო წვლილის შეტანა განვითარებაში. დაწესებულების წინა წლის კვლევითი ბიუჯეტი იყო 5 მლნ. ლარი, რომელიც განაწილდა საჯარო გრანტების შესაბამისად. ამასთან, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ყოველთვის ხელს უწყობდა პერსონალს კვლევების თანადაფინანსების კუთხით, რაც წარმოადგენდა უნივერსიტეტის პოპულარობის გასაღებს მკვლევარებს შორის.
საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ, დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, თუ რამდენი პერსონალი იყო ჩართული ივანე ბერიტაშვილის სახელობის ინსტიტუტიდან კვლევაში და ასევე სტუდენტები, რომელთა მონაწილეობა, შემდგომში, აისახა კვლევის შედეგებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ინსტიტუტის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ, როგორც პროგრამის ხელმძღვანელებს, ისე იყვნენ წამყვანი პროფესორები სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად ნანა ჯაფარიძე ჰისტოლოგიის მიმართულებით, ნოდარ მითაგვარია - სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ, დააზუსტა კითხვა და თქვა, რომ პერსონიფიცირება არ იყო მისთვის მნიშვნელოვანი, მას აინტერესებდა რაოდენობა, დაწესებულების აკადემიური პერსონალის რამდენი პროცენტი იყო ჩართული კვლევაში. აღნიშნულზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მათი აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი იყო პროფესორი, პროცენტულად დიდი რაოდენობა იყო ჩართული კვლევაში. რაც შეეხებოდა დოქტორანტებს, ისინიც აქტიურად იყვნენ ჩართულები კვლევის პროცესში.
საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ განმარტა, რომ ის გულისხმობდა სხვა საფეხურის სტუდენტების ჩართულობას კვლევაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ, უპასუხა, რომ პროგრამები მოიცავდა კურსებს - კვლევის მეთოდები 1 და კვლევის მეთოდები 2.ამასთან, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანი იყო კვლევა, სტუდენტები მიდიოდნენ კიდევაც ლაბორატორიებსა და კვლევით ინსტიტუტებში და რომ მათთვის თანამედროვე სწავლება კვლევის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დააზუსტა საბჭოს თავმჯდომარესთან, რომ ფორმატი ეხებოდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას, რომ არ მომხდარიყო დიდი რაოდენობით სტუდენტების მიღება სამედიცინო მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ყველა შეკითხვა იყო დამაზუსტებელი და შეეხებოდა აღნიშულ საკითხს. მან მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ, ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებაზე, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი არ ფლობდა ინგლისურ ენას. მისთვის გაუგებარი იყო, როგორ ხორციელდებოდა პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ განმარტა, რომ საუბარი იყო უმცროს მედ-პერსონალზე, რომელთანაც მოხდა გასაუბრება ვიზიტის დროს. საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ, დააზუსტა, რომ დასკვნაში არ იყო საუბარი პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე, რაზეც დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეც. დაწესებულების წარმომადგენელმაც დააზუსტა, რომ ნამდვილად პრობლემა იყო ექთნების ინგლისური ენის ცოდნის დონე. მან დაამატა, რომ ნეიმეგენის, მაასტრიხტის და როტერდამის უნივერსიტეტები ექთნების მიმართულებით გაცვლითი პროგრამების განვითარებას კოორდინირებდნენ საქართველოში. აღნიშნული ხორციელდებოდა უნივერსიტეტის ბაზაზე და დაწესებულების წარმომადგენლები იმედოვნებდნენ, რომ მალე ექთნების მომზადების დონის პრობლემა გადაიჭრებოდა საქართველოში. თუმცა, დღეს ეს პრობლემა მაინც არსებობდა. ამიტომ დაწესებულებას დოქტორანტებიც აქტიურად ჰყავდა ჩართული სასწავლო და კვლევით პროცესებში, ასევე ისინი მუშაობდნენ უმცროს ექიმებად და აქტიურად მონაწილეობდნენ ენობრივი ბარიერის აღმოფხვრის საკითხში.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ, აღნიშნა, რომ კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, მაშინ როდესაც დაწესებულებას წინ ელოდა მონიტორინგის პროცესი და მათ წარმოდგენილი ჰქონდათ სტუდენტთა განაწილების, დაგეგმვის გეგმა, არ იქნებოდა სწორი შეზღუდვის დაწესება. ამასთან, თუ პანდემიური მდგომარეობის გამო აკადემიური პერსონალი არ იმყოფებოდა ადგილზე, ეს გარემოება არ აუარესებდა განსახილველი თემის შედეგებს, რადგან სწავლება, ამ ეტაპზე, მიმდინარეობდა ონლაინ ფორმატით. მან აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, თუ უცხოელი ლექტორები ადგილზე ჩამოვიდოდნენ, თუმცა COVID-19-ის პერიოდში ონლაინ სწავლება სავსებით მისაღები იყო. რაც შეეხებოდა კლინიკებს, ირაკლი კოხრეიძემ აღნიშნა, რომ მას პირადად ჰქონდა შეხება ნიუ-ვიჟენის საუნივერსიტეტო კლინიკებთან. მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო კავშირში აკადემიურ საქმიანობასთან, მიმდინარე კლინიკური და კვლევითი საქმიანობა სრულიად აკმაყოფილებდა სტანდარტებს. მისი მოსაზრებით, სტუდენტთა მედიცინის ფაკულტეტზე მიღების შიშით, არ იქნებოდა სწორი დაწესებულებისათვის შეეზღუდათ შესაძლებლობა მიეღოთ სტუდენტები სხვა პროგრამებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ, მიმართა დამსწრე პირებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ან ხომ არ სურდათ საკუთარი აზრის დაფიქსირება.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა, იკითხა მედიცინის პროგრამაზე რამდენი სტუდენტი სწავლობდა მოცემული პერიოდისათვის და რამდენი იქნებოდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 5000-მდე გაზრდის შემთხვევაში, რაზეც თავად საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამჟამად ინსტიტუციაში მედიცინის პროგრამაზე სწავლობდა 1508 მოქმედი სტუდენტი და 194 სტატუს შეჩერებული. ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი მუნჯიშვილმა, დააზუსტა, რომ საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოყვანილი ეს მონაცემები იყო წინა წლის, როდესაც დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო. დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ, აღნიშნა, რომ ამჟამად სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 3000 სტუდენტს. მათი ვარაუდით მაქსიმალური რაოდენობა, მედიცინის მიმართულებით იქნებოდა 1800, ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი გიორგიძემ დააზუსტა, რომ 2020 წლის 29 ივლისის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, დაწესებულებაში მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) ირიცხებოდა 2 321 სტუდენტი, მათ შორის: 2241 იყო აქტიური სტატუსის მქონე, 29 - შეჩერებული, 51 კი შეწყვეტილი სტატუსის მქონე. ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა დააზუსტა, რომ ამ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა ამ რაოდენობაში არ

იყო გამოყოფილი მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულების რაოდენობა, რასაც დაეთანხმნენ ინსტიტუციის წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს ძირითად და მოწვეულ წევრებს კიდევ ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები. საბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:45 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:55 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ დეტალურად შეისწავლეს საკითხთან დაკავშირებული მასალები. მას სურდა, ყურადღება გაემახვილებინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ პოზიციაზე, სადაც საუბარი იყო, რომ სიფრთხილით უნდა მომხდარიყო სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა მედიცინის მიმართულებით. თუმცა, მან დაამატა, რომ დაწესებულების პოზიცია მისაღები იყო საბჭოს წევრებისათვის, რომ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია იქნებოდა მთავარი განმსაზღვრელი. მან ასევე ხაზი გაუსვა დაწესებულების პოზიციას, რომ სტუდენტთა რაოდენობა არსებითად არ იცვლებოდა მედიცინის მიმართულებით, თუმცა, სხვა მიმართულებების საგანმანათლებლო პროგრამებს ეძლეოდათ განვითარების მეტი შესაძლებლობა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მნიშვნელობა, და აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულებაში დადგენილ ვადაში განხორციელდებოდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, სხვა რეკომენდაციებთან და საკითხებთან ერთად, უნდა გადამოწმებულიყო, რამდენად იცავს დაწესებულება ცენტრში წარმოდგენილ სტუდენტთა ადგილების დაგეგმის მეთოდოლოგიას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 ოქტომბრის №38-ე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის საკითხი, კერძოდ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 5000 განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 102-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება შევიდეს ,,ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 ოქტომბრის №38-ე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (ს/კ: 404987332) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 5 000-ით.“

2.შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საბჭოსთვის წარედგინათ მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და შენიშვნები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა წინა მონიტორინგის ფარგლებში მე-2 და მე-3 სტანდარტის 2.1, 2.2, და 3.3 კომპონენტებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება.

პირველ რეკომენდაციას წარმოადგენდა საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადის განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანების შესაბამისად. ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია დაწესებულებამ შეასრულა.

მეორე რეკომენდაციას წარმოადგენდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში უცხოენოვანი სტუდენტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ეარსება იმ პროცედურებთან ერთად, რომელიც ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში სტუდენტის სამომავლო ქცევის მიმართულებას განსაზღვრავდა და ეს არ ყოფილიყო ადმინისტრაციის მხრიდან „რეკომენდაციაზე“ დამოკიდებული, რომელიც, თავისი შინაარსით, მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ მოიცავდა. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია დაწესებულებამ ნაწილობრივ შეასრულა. დაწესებულების მიერ წარდგენილ ანგარიშში გაცხადებული იყო, რომ კოლეჯში არ ირიცხებოდა არაქართულენოვანი, უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი, რის გამოც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ იგეგმებოდა. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას ჰქონოდა შემუშავებული უცხო ქვეყნის მოქალაქე პოტენციურ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც გაითვალისწინებდა ქართული ენის ცოდნის გაღრმავების ხელშემწყობ მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, კოლეჯში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებული იყო ქართული ენის ცოდნის დადგენის მიზნით, ინსტიტუციაში გაევლო გასაუბრება და წარმოადგინა ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი (გაცემული

სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოს მიერ). ამასთან, გასაუბრების ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სასწავლებლის მიერ. იმისათვის, რომ უფრო ნათელი და მკაფიო ყოფილიყო თუ რა მოთხოვნები იქნებოდა წაყენებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მიზანშეწონილი იყო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებში დაკონკრეტებულიყო ქართული ენის ცოდნის დონე და რომელი სერტიფიკატები იქნებოდა აღიარებული. ასევე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უსდ-ის მიერ რეკომენდაციის შესრულებულის სრულყოფილად შესაფასებლად, დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები და საგანმანათლებლო პროგრამის ნიმუში, სადაც გაწერილი იყო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მიღების წინაპირობები. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზის მიხედვით ფიქსირდებოდა ორი აქტიური სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი. დაწესებულებაში განხორციელებული წინა მონიტორინგის ფარგლებში, ორივე პირის შემთხვევაში დადასტურდა ქართული ენის ცოდნა.

წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემულ მესამე რეკომენდაციას წარმოადგენდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დაიხვეწა და მორგება ინდივიდუალურად პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც შესაძლებლობას მისცემდა დაწესებულებას ადეკვატურად შეეფასებინა და ეკონტროლებინა სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელი. ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ამ რეკომენდაციის შესრულებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა და პროცესი დაწყებული აქვს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ჯერ პრაქტიკაში არ ჰქონდა განხორციელებული აქტივობები აღნიშნული დოკუმენტაციის შესაბამისად და PDCA ციკლის საწყის საფეხურზე იყო, ამის გათვალისწინებით რეკომენდაცია იყო მეტწილად შესრულებული, ანუ დაწესებულებას დებულებებისა და შექმნილი მექანიზმების დონეზე ცვლილებები ჰქონდა განხორციელებული, დანარჩენს უკვე დრო აჩვენებდა.

წინა მონიტორინგის რეკომენდაციების შესრულების შემოწმების და შესაბამისი ანალიზის განხორციელების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ახალი რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, დაწესებულებას ჰქონდეს შემუშავებული უცხო ქვეყნის მოქალაქე პოტენციურ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ქართული ენის ცოდნის გაღრმავების ხელშემწყობ მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს;
- იმისათვის, რომ უფრო ნათელი და მკაფიო იყოს, თუ რა მოთხოვნებია წაყენებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, ქართული ენის ცოდნის დონე და რომელი სერტიფიკატები იქნება აღიარებული;
- რეკომენდებულია, დასრულდეს PDCA ციკლი სრულად, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
- .

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდიამ მიმართა ექსპერტს, დიანა მჭედლიშვილს, თუ სურდა რამის დამატება ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებასთან მიმართებით.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მზაობა განეხორციელებინა შესაბამისი ცვლილებები და დაამატა რომ დაწესებულებიდან მიღებულ არგუმენტირებულ პოზიციაში უკვე ჩანდა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გადადგმული შესაბამისი ნაბიჯები, გააფორმა ხელშეკრულება ქართულ ენაში გადამზადების შესაბამის ცენტრთან, ასევე შეიტანა ცვლილებები შესაბამის რეგულაციებში. თუმცა ექსპერტებმა

დასკვნაში რეკომენდაციები დარჩა, ვინაიდან შეფასების პერიოდში დაწესებულებას ეს ნაბიჯები ჯერ არ ჰქონდა გადადგმული. ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას პრაქტიკულად პირველი ორი რეკომენდაცია სრულად ჰქონდა უკვე შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების რექტორმა, თამარ გარდაფხაძემ მადლობა გადაუხადა ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლებს და ასევე ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის, იმისთვის რომ დაწესებულების მიერ გაწეული შრომის დაფიქსირებისთვის. წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადას ყურადღებას აღარ გაამახვილებდა, ვინაიდან უკვე შესრულებული იყო. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებას, აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის პირველი სწავლის შედეგის შეფასება ხდებოდა მეხუთე სემესტრში, რაც კურიკულუმის რუქაში მითითებული იყო, შესაბამისად როცა 2020-2021 წლის აკადემიურ წელს, შემოდგომის სემესტრის დასრულებისთანავე მოხდებოდა შეფასება.

დაწესებულების რექტორმა, თამარ გარდაფხაძემ, წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემულ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელი უცხოენოვანი სტუდენტების ქართულ ენაში მომზადებას ეხებოდა, აღნიშნა, რომ პანდემიის გამო შესაბამის ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმება გადავადდა, თუმცა მოლაპარაკებები დაწყებული ჰქონდათ შედარებით ადრე, ხოლო ხელშეკრულებები 2020 წლის 6-7 ივლისს გაფორმდა, რაც არგუმენტირებულ პოზიციაში უკვე აისახა, თუმცა ვინაიდან ექსპერტთა შეფასების დროს ეს პროცესები ბოლომდე არ იყო დასრულებული, დასკვნაში არსებულ შეფასებაში რომ ვერ იყო გათვალისწინებული, გასაგები იყო. ასევ აღნიშნა, რომ სტუდენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში პირდაპირ ჩაიდო, რომ საჭიროების შემთხვევაში, სასწავლებლის დაფინანსებით, იუსტიციის სასწავლო ცენტრი გადაამზადებდა უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტს. აღნიშნული მხარდაჭერის მექანიზმი დაეხმარებოდა სტუდენტებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მიღწევაში. ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაიწერა, რომ პოტენციური სტუდენტებისთვის ქართული ენის B2 გამოცდის იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩაბარება დააფინანსებდა დაწესებულება. დაწესებულებას უკვე გაფორმებული ქონდა ყველა შესაბამისი მემორანდუმი და ასევე ყველაფერი იყო ასახული დაწესებულების შიდა რეგულაციებში.
საბჭოს წევრმა, თამარ იოსელიანმა დატოვა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია დაინტერესდა დაწესებულებას თუ ჰქონდა დოკუმენტების შენახვის სამწლიანი ვადა გათვალისწინებული მონიტორინგამდე. რაზეც დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ არანაკლებ 6 თვე ჰქონდათ იქამდე მითითებული, თუმცა საშუალოდ წელიწანდახევარი, ორი წელი მაინც ინახავდნენ საშუალოდ ნაშრომებს. თუმცა, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის შემდეგ, ნორმატიულ აქტებთან თანხვედრაში მოიყვანეს შესაბამისი შიდა რეგულაციები.

საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მომავალი შეფასების ფარგლებში გადამოწმდება უკვე დაწესებულების მიერ დოკუმენტების შენახვა, რაზეც დაწესებულების რექტორმა დაამატა, რომ ერთ წელში დაწესებულებას უკვე უწევდა მომდევნო მონიტორინგი, რომელიც ავტორიზაციის ფარგლებში დაუდგინდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს თუ ჰქონდათ შეკითხვა ან კომენტარი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტაციის და ექსპერტთა დასკვნის საფუძველზეც ჩანდა, რომ დაწესებულებას სამოც დღიანი ვადის ფარგლებში რა ცვლილებების გატარებაც შეეძლო მოესწრო, განხორციელდა. ასევე დაამატა, რომ ეს პროცესი დაწესებულებაზე დადებითად აისახა, განიცადა პროგრესი და გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები.

დაწესებულების რექტორმა დაამატა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები იყო ძალიან ღირებული და მადლობა გადაუხადა მათ. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის (ს/კ: 404916203) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 19:20 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ